

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას

მისამართი: ქალაქი თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ/ბოჭორმის ქ. 50/18; საფოსტო

კოდი: 0144

ელ.ფოსტა: post@comcom.ge

შპს „აჭარასპორტ.ტვ“-ის (ს/კ: 404583786)

დირექტორის გიორგი ფრუიძის (პ/ნ: 01011065498)

მისამართი: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. 14

ელ.ფოსტა: g.pruidze@adjara.com; legal@adjara.com

ქ. თბილისი

26.01.2023 წელი

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით წარმოგიდგენთ დეკლარაციასა და სხვა ინფორმაციას.

წინამდებარე განცხადებას თან ერთვის შესაბამისობის დეკლარაცია ხელმოწერილი და ბეჭედდასმული კომპანიის დირექტორის მიერ. ამასთანავე, ვაცხადებთ, რომ შპს „აჭარასპორტ.ტვ“ (ს/კ: 404583786) არ ფლობს მაუწყებლობის სფეროში სხვა ლიცენზიას ან ავტორიზაციას, გარდა დეკლარაციაში მითითებულისა. ასევე, არ ფლობს სხვა მაუწყებელში წილს ან აქციებს, პერიოდულ ბეჭდვით გამოცემას, პერიოდულ ბეჭდვით გამოცემაში წილს ან აქციებს, საინფორმაციო სააგენტოს, საინფორმაციო სააგენტოში წილს ან აქციებს, სხვა საწარმოს ან სხვა საწარმოს წილს ან აქციებს.

შპს „აჭარასპორტ.ტვ“ ასევე ადასტურებს, რომ მისი წილის ან აქციების მფლობელი, დამფუძნებელი, სხვა წევრი, ხელმძღვანელი, შემომწირველი ან მათი ოჯახის წევრი არ ფლობს მაუწყებლობის სფეროში სხვა ლიცენზიის მფლობელის ან მაუწყებლობაზე ავტორიზებული პირის წილს ან აქციებს, პერიოდულ ბეჭდვით გამოცემაში წილს ან აქციებს, საინფორმაციო სააგენტოში წილს ან აქციებს.

პატივისცემით,

გიორგი ფრუიძე

დანართი №1

შესაბამისობის დეკლარაცია	
	შესაბამისობის დეკლარაციის ფორმა №1
1	ლიცენზიის მაძიებლის/ავტორიზაციის მსურველის ან/და ლიცენზიის მფლობელის/ავტორიზებული პირის საიდენტიფიკაციო მონაცემები
	შპს „აჭარასპორტ.ტვ“ (ს/კ: 404583786); იურიდიული მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, კოსტავას ქუჩა N14
2	სამაუწყებლო ლიცენზი(ებ)ის/ ავტორიზაციის ნომერი (ივსება მხოლოდ ლიცენზიის მფლობელის/ავტორიზებული პირის მიერ)
	ავტორიზაციის ნომერი: BR -5068; BR – 5106; BR – 5107.
3	მონაცემები ლიცენზიის მაძიებლის/ავტორიზაციის მსურველის ან/და ლიცენზიის მფლობელის/ავტორიზებული პირის ხელმძღვანელი თანამდებობის პირებისა და ორგანოების შესახებ
	დირექტორი - გიორგი ფრუიძე (პ/ნ: 01011065498); პარტნიორთა კრება - 100%-იანი წილის მფლობელი შპს „აჭარა.ქომ“ (ს/კ: 404582055).
4	ვადასტურებ ხელმოწერითა და ამ დეკლარაციის მე-5 პუნქტის მონაცემებით, რომ ლიცენზიის მაძიებელი/ავტორიზაციის მსურველი პირი, ან/და ლიცენზიის მფლობელი/ავტორიზებული პირი ან მისი ბენეფიციარი მესაკუთრეები არ არიან: ა) საქართველოს ან სხვა სახელმწიფოს ადმინისტრაციული ორგანო; გარდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა; ბ) საქართველოს ან სხვა სახელმწიფოს ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირი, სხვა საჯარო მოხელე; გ) საქართველოს ან სხვა სახელმწიფოს ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე იურიდიული პირი; დ) საქართველოს ან სხვა სახელმწიფოს პოლიტიკური პარტია/ პოლიტიკური პარტიის თანამდებობის პირი; ე) ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული იურიდიული პირი; ვ) იურიდიული პირი, რომლის წილს ან აქციებს პირდაპირ ან ირიბად ფლობს ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული პირი.
	დირექტორი გიორგი ფრუიძე
5	ინფორმაცია ლიცენზიის მაძიებლის/ავტორიზაციის მსურველის, ან/და ლიცენზიის მფლობელის/ავტორიზებული პირის ბენეფიციარი მესაკუთრეების საიდენტიფიკაციო მონაცემებისა და მათ საკუთრებაში არსებული წილების თაობაზე.
	შპს „აჭარასპორტ.ტვ“-ს (ს/კ: 404583786) 100%-იანი წილის მფლობელ პარტნიორს წარმოადგენს შპს „აჭარა.ქომ“ (ს/კ 404582055). შპს „აჭარა.ქომ“-ის (ს/კ:404582055) 100%-იანი წილის მფლობელი პარტნიორია შპს „სითი ლოგტი“ (ს/კ 404909934), რომლის 100% წილის მფლობელია თეიმურაზ უგულავა (პ/ნ 01010001265).